F567 ~ 3156

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა სპორტი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 17 (135)

ნოემბერი,

1965 წელი.



თბილისის ცის ქვეშ.

შემოდგომის ზეიმი და სიხარული

მდიდარი და გულუხვი იყო წლევანდელი შემოდგომა საქართველოში. რომ იტყვიან, გული გაიხსნა მადლიანმა ქართულმა მიწამ. ჩვენი სოფლის მშრომელებს დაუფასდათ ამაგი. ქართველ ხალხს ბრძნულად უთქვამს — რასაც დასთეს, იმას მოიმკიო. ჩვენმა კოლმეურნეებმა მთელი წლის განმავლობაში ბეჯითად იშრომეს, სძლიეს სიძნელეებს, არ შეუშინდნენ ბუნების კაპრიზებს და შრომის ნაყოფიც ხელხვავიანად მოიმკეს.

პირველად გამარჯვება ქართველმა მეჩაიეებმა გვახარეს. წელს მოკრეფილია 196 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. „მწვანე ოქროს“ კრეფის დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აჭარის, აგრეთვე მახარაძისა და წალენჯიხის რაიონების მეჩაიეებმა.

ბარაქიანი მოსავალი მოვიდა საქართველოს ზვრებში. წელს სამშობლოს ჩაბარდა 243.000 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, რაც 13.000 ტონით აღემატება საგეგმო დავალებას და 37.000 ტონით მეტია, ვიდრე დამზადებული იყო ყველაზე მოსავლიან 1962 წელს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გურჯაანელმა მევენახეებმა, რომლებმაც სახელმწიფოს მიჰყიდეს 54.000 ტონა ყურძენი.

მიმდინარე წლის კლიმატური პირობები ხელსაყრელი არ იყო თავთავიანი მარცვლეული კულტურებისათვის. მიუხედავად ამისა რესპუბლიკამ მაინც შეასრულა მარცვლეულის დამზადების გეგმა. 20 ნოემბრისათვის სამშობლოს ბეღლებმა მიიღო 70.791 ტონა მარცვალი.

სასიხარულო შედეგებს მიაღწიეს და გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს საქართველოს მეცხოველეებმა, მეკარტოფილეებმა, მეჭარხლეებმა, მეხილეებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ოსტატებმა.

წლევანდელი ბარაქიანი შემოდგომის აღსანიშნავად 20 ნოემბერს რესპუბლიკის დედაქალაქში — თბილისში, სპორტის სასახლეში მოეწყო სოფლის მეურნეობის მშრომელთა შეკრება; ეს იყო ნამდვილი ზეიმი შემოდგომისა, შრომისა, ეს იყო ქართველი კაცის გამარჯვე მარჯვენით მოწეული სახალხო დოვლათის სადიდებელი ნამდვილი დღესასწაული.

ასაწყობი საძირკველი

ჩვენი ქვეყნის მძლავრი მიწისქვეშა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დროს უფრო ფართოდ იყენებენ ასაწყობი რკინაბეტონის ელემენტებს, რომელთა შეძლება უფრო სწრაფად ავაწყოთ სალტერაციო სამანქანო დარბაზების შენობა და დიდი სიმტკიცის საძირკვლები ენერგეტიკული მოწყობილობისათვის.

თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში შეიმუშავეს მძლავრი ჰიდროგენერატორების საძირკვლების ასაწყობი კონსტრუქციების ოთხი ვარიანტი. სამი მათგანისათვის ძირითადი ელემენტია რკინაბეტონის ცილინდრი. ასეთი კონსტრუქცია უზრუნველყოფს მეტ ვიბრაციამედეგობას და აადვილებს მონტაჟს.

ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის დროს ასაწყობი საძირკვლების გამოყენებამ სპეციალისტებისაგან მოითხოვა ზუსტად გამოეანგარიშებინათ მათი სიმტკიცე და ხანგრძლივობა. ამ მიზნით ინსტიტუტის თანამშრომლებმა შეიმუშავეს საძირკვლების ასაწყობი კონსტრუქციის სტატისტიკური გაანგარიშების ახალი მეთოდიკა. გამოანგარიშებამ ცხადყო, რომ ეს ასაწყობი საძირკვლები მეტად პრაქტიკული და გამძლეა.





სურათებზე: საშვიდწლემბრო ზეიმი თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე. ზემოთ — მოდიან ქართველი სპორტსმენები, წინა პლანზე, შუაში ნონა გაფრინდაშვილი; ქვემოთ — მოდის ახალგაზრდობა.

ენგურის პირას

ლამაზი ხის სახლები გაფანტულია მწვანე მთის კალთებზე. ამ დაბაში აქვთ საკუთარი სასადილო, ახალგაზრდობის კაფე, კლუბი. ილორში სახლები არ იყო, ახლა კი იქ ფარისებრი კონსტრუქციის შენობების მთელი ქალაქი აშენდა. მაგრამ გვირაბგამყვანები და მესანგრენი, რომლებიც დერივაციულ გვირაბს აშენებენ, წინ წავიდნენ და მესამე სანგრევთან ააშენეს ახალი დაბა — ერისწყალი. ასე მიიწევს წინ მშენებელთა არმია და გზადაგზა აშენებს დაბებს. დაბებში ცხოვრობენ მუშები, რომლებსაც შექმნილი აქვთ ყველა პირობა კულტურული დასვენებისათვის.

მაღლივი თაღოვანი კაშხალის სამშენებლო სამმართველოს მთავარი ინჟინრის კაბინეტში ნახავთ დაბა ჯვარის გენერალურ გეგმას. რამდენიმე ათეული სწორკუთხედი წითელი ფერით არის დაშტრიხული: ამ სახლებში ცხოვრობენ მუშები და ინჟინრები თავიანთი ოჯახებით. მშენებელთა დაბაში ყოფილ შიშველ პლატოზე ახლა არის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ორი სკოლა, საავადმყოფო და რკინიგზის ვაგზალი.

ახლა ჯვარში, გალში, საბერიოში, ილორში, ერისწყალსა და ენგურჰესის მშენებლობის ყველა უბანზე სამი ათასი მუშა მუშაობს, მალე აქ იქნება 12 ათასამდე მუშა და სპეციალისტი, ხოლო ოჯახებთან ერთად 70 ათასზე მეტი კაცი, თუმცა მარტო წელს საექსპლოატაციოდ გადაეცემა 41 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, მაგრამ საბინაო საკითხი ენგურის ნაპირებზე მშენებლობის კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება.

პარიზული დღიურიდან

როგორც ამ წერილებიდან ირკვევა, აკაკის უაღრესად წრფელი გრძნობით ყვარებია თავისი მეუღლე და ერთადერთი შვილი. მათდამი ყველა წერილი ხელმოწერილია პოეტის უნაზესი გრძნობების გამომხატველი სიტყვებით: „გკოცნით თქვენი აკაკი“. „მარად თქვენი მოყვარული აკაკი“. „კუბოს კარამდე თქვენი აკაკი“. „კუბოს კარამდე თქვენი მოყვარული აკაკი“ და ა. შ. პოეტი მთელი ცხოვრების მანძილზე მოხიბლული ყოფილა თავისი მეუღლის ადამიანური ღირსებით, დიდად აფასებდა თავისი ვაჟის ნიჭიერებას, განათლებას, უნარსა და ენერგიას და ორივესადმი წრფელი სიყვარულით და კეთილმოსურნეობით ყოფილა გამსჭვალული. და მით უფრო მწვავედ და მტკივნეულად განიცდიდა მათგან მუდმივს დაშორებას. როგორც ჩანს, მეუღლესა და შვილს არ ესმოდათ აკაკის დიადი საზოგადოებრივი იდეალები, მისი მაღალი შემოქმედებითი მისწრაფებანი, მისი დაუცხრომელი პატრიოტული ბრძოლის ისტორიული აზრი და მნიშვნელობა. პეტერბურგის მდიდრულ წრეებში აღზრდილ ნატალია ბაზილევსკაიას ვერ შეუთვისებია და ვერ შეუყვარებია საქართველო, ის ქვეყანა და ხალხი, რომელიც ეათდენ თავდადებული სიყვარულით უყვარდა აკაკი წერეთელს, — მგზნებარე პატრიოტსა და სამშობლოს თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს. ცოლს გული არ უდგებოდა საქართველოში. მას პეტერბურგში თუ საზღვარგარეთ ცხოვრება სურდა და იზიდავდა. ალექსიც, აკაკის ერთადერთი შვილი, დედის გავლენით გულგრილი ყოფილა საქართველოსადმი და თავისი დიდებული მამისადმი. დიდად ნიჭიერი და განათლებული ახალგაზრდა, იგი ავადმყოფურად ყოფილა გატაცებული მუსიკალურ-თეატრალური ანტრეპრიზით, რაც მოითხოვდა გამუდმებულ მოგზაურობას სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში და ყოველთვის დაკავშირებული იყო დიდ ხარჯებთან, რისკთან, ათასგვარ მოულოდნელობასა და ხიფათთან. და აი, დედა-შვილი გამუდმებულად ცხოვრობენ ხან პეტერბურგში, ხარკოვში, კიევში და რუსეთის მაშინდელ იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში, ხან პარიზში, ნიცაში, ბერლინში, მილანში. ალექსის ანტრეპრიზა უმრავლეს შემთხვევაში მოლოდინის გაცრუებით და ზარალით მთავრდება და დედა-შვილი მუდმივ გაჭირვებაში და მძიმე ნივთიერ მდგომარეობაში იმყოფება. ისინი გამუდმებით მოითხოვენ აკაკისაგან ფულს.

„არ არსებობს იმაზე უსასტიკესი სასჯელი ღვთისა, როგორც ხელმოკლეობა ციხეების წლებში. დღემდე ისევ სასტუმრო „ვეტცელში“ ვზივარ როგორც ტუსაღი და ვისმენ უსიამოვნო სიტყვებს. ვალები კი იზრდება და იზრდება“, — ასეთი სიტყვებით იწყება აკაკის ერთ-ერთი წერილი ცოლ-შვილისადმი. ხანდაზმულობის ასაკში შესული, ასეთი ცხოვრებით დაღლილი და დაქანცული, ჯან-ღონე დაკარგული პოეტი ამაოდ ოცნებობს ცოლ-შვილთან სიახლოვეზე, მათთან ერთად ცხოვრებაზე. იგი ეხვეწება ცოლ-შვილს ჩამოვიდნენ საქართველოში, ესტუმრონ მის მშობლიურ სხვიტორს, მის საყვარელ „მონ-რეპოს“, ემუდარება შვილს შეისწავლოს ქართული ენა, თავი დაანებოს ბუტაფორიულ გატაცებებს, ჩამოვიდეს სამშობლოში, მხარში ამოუდგეს მოხუც მამას და მშობელ ქვეყნის სამსახურს მოანდომოს თავისი ნიჭი და ენერგია. „მთელი ჩემი სწრაფვა და მიზანი ის არის, — სწერს პოეტი ცოლსა და შვილს, — რომ სიბერის წლებში მაინც განვახორციელო ჩემი იდეალი, ვიცხოვრო ჩემს ოჯახში, აღტაცებას ვეძლეოდე ჩემი იდეალური ნატაშათი (რომელმაც თვითონ არ იცის თავისი ფასი და ნერვების წყალობით ხშირად ისახიჩრებს თავს), ვგრძნობდე თავს ლიოლიას ახლო (ლიოლია აკაკის ვაჟის ალექსის შინაური სალერსო სახელია. ბ. შ.), ვხარობდე მისი სიხარულით. ეს მიზანი რომ არ მქონოდა, აქამდე თავს არ ვიცოცხლებდი“, — წერს პოეტი ერთ-ერთ წერილში, ხოლო მეორეში ასე მიმართავს ცოლსა და შვილს: „ჩემს მშობლიურ ოჯახს დაშორებულს უკვე მომწყინდა, სული სულ თქვენსკენ მოისწრაფვის“. ერთხელ შვილს უცდია მამისათვის წერილი ქართულად მოეწერა. ამით აღფრთოვანებული აკაკი უპასუხებს: „შენმა ქართულმა წერილმა ძალიან გამახარა. მე არასოდეს საეჭვოდ არ მიმაჩნდა შენი ნიჭიერება და ენერგია და სწორედ ამიტომ მტკივა გული, რომ მას ამაოდ ხარჯავ შორს, არა ჩემს ახლოს. შეგეძლო აქ ასჯერ მეტი სარგებლობა მოგეტანა და ჩვენც ასე არ გავიტანჯებოდით“.

კითხულობთ დიდი პოეტის ამ წერილებს და კიდევ მეტის სიყვარულით, აღტაცებით და თაყვანისცემით იმსჭვალებით დიდი ადამიანისადმი, რომელიც, მართლაც-და პრომეთესებური შეუდრეკლობით იშუშებდა პირადი ცხოვრების წყლულებს, საკუთარ გულში იკლავდა ესოდენ მწვავე პირად მწუხარებას და გზას უღობავდა მას თავისი პოეტური შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროებისაკენ. აკი პოეტი ამბობდა:

ნახევარი ცხოვრების გზა გავლილ,
სიტკბოზედა მწარე მეტი დავლილ.
არ მშორდება მწუხარება და ჭირი,
მაგრამ მაინც სულ ვიცინი, არ ვტირი.
რას მიქვიან პირადი მწუხარება?
მოკვდეს კაცი, თუ პირუტყვს ედარება.
ვილას ახსოვს თავისი სატკივარი,
როს სატრფოც ყავს იმ დროს მას ცოცხალ-მკვდარი?

ჩვენ კარგად ვიცით, ვის და რას გულისხმობდა პოეტი თავის ამ ცოცხალ-მკვდარი სატრფოს სახეში. ეს მისი დამონებული სამშობლო იყო. ქაჯეთის ცხრაკლიტულში ჩამწყვდეული, საღათას ძილით შეპყრობილი, მაგრამ ლეგენდარული ამირანივით ქედუხრელი და უკვდავი საქართველო, სათაყვანებელ ხატად დასახული, თავისი ამ სატრფოს განკურნებისათვის, განთავისუფლებისა. გამოღვიძებისა და აღორძინებისათვის ბრძოლას, ღვაწლსა და შემოქმედებას შეალია აკაკი წერეთელმა თავისი დიადი სულის მთელი მღელვარება, თავისი ჭეშმარიტად ტიტანური ნიჭიერება და ძალ-ღონე. ამ დიდ ბრძოლაში ახშობდა და კლავდა იგი თავის „პირად სატკივარს“ და „პირად მწუხარებას“.

ახლა, პოეტის წერილების ახლად მოპოებული კოლექციის მეოხებით, ჩვენ სრული და ნათელი წარმოდგენა გვექმნება მის პირად სატკივარზე. უეჭველია, რომ გასული საუკუნის დიდი ქართული კლასიკური მწერლობის სპეციალისტები და კერძოდ აკაკი წერეთლის შემოქმედებისა და ცხოვრების მკვლევარები უფრო ღრმად გაიაზრებენ და განმარტავენ პოეტის ეპისტოლარული მემკვიდრეობის ამ ახალ შენაძენს, ზუსტად დაათარიღებენ ამ წერილებს, გაარკვევენ მათში მოხსენებული ყოველი პიროვნების ვინაობას, ყოველივე მოვლენის არსს.

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ წრფელი კმაყოფილება გამოვთქვათ იმის გამო, რომ წილად ეგხვდა აწ ძვირფასი ისტორიულ-ლიტერატურული განძის საბეჭდავში ჩამოტანა და გულითადი მადლობა მოვახსენოთ მათ, ვინც ამის საშუალება მოგვცეს.

ბესარიონ ჯღენტი.

* დასასრული, დასაწყისი იხ. გაზ. „სამშობლოს ხმა“ № 16, 1965 წ.

ახალი კლანტაციები

საქართველოში, აზერბაიჯანსა და კრასნოდარის მხარეში ჩაის დიდი ფართობი ეთმობა. აღებულია კურსი, რომ მთლიანად დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება საკუთარი წარმოების ჩაით. ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში პირველი ადგილი უჭირავს ჩვენს რესპუბლიკას, რომელიც საბჭოთა კავშირში წარმოებული ჩაის 97 პროცენტს იძლევა.

ახალ პლანტაციებში გაშენდება ჩაის ბუჩქის სასელექციო ჯიშები, რომლებიც ჩაის კულტურის არსებობის მანძილზე პირველად გამოიყვანა საბჭოთა კავშირის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის სელექციისა და მეთესლეობის განყოფილების გამგემ **ჯ. ბახტაძემ.** ეს ჯიშები მოსავლიანობით 30-35 პროცენტით აღემატებიან სხვა არსებულ ჯიშებს.

გადაწყდა, რომ ჩაის მოვლა-მოყვანის არეალი გავრცელდეს ჩვენი ქვეყნის უფრო ჩრდილოეთ რაიონებშიც. წარმოებს მეცნიერული კვლევა იმ მიზნით, რომ ზემო იმერეთში, ტუაფსისა და მაიკოპის რაიონებში, იმიერკარპატში დაინერგოს და ამ მხარეების პირობებს შეეგუოს ჩაის პერსპექტიული ჯიშები. ამ რაიონებში გააშენებენ ჩაის ახალ, ყინვაგამძლე ჯიშებს, რომლებიც ჯ. ე. ბახტაძემ გამოიყვანა.



სურათზე: რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატის დარიშხანის პრეპარატების ხაოქროში.

დ განცხრომით
მირჩევნია

ადამიანი, რომლის შესახებაც ამ წერილში მინდა მოგითხროთ, სამამულო ომის პერიოდში სამჯერ ჩავარდა გერმანელ ფაშისტთა ტყვეობაში და სამჯერვე გაიქცა, არასოდეს მათ წინაშე ქედი არ მოუხრია, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევას იყენებდა სძულველი მტრისაგან თავდასაღწევად და ომის დამთავრებამდე ვეება ცურად იბრძოდა მათ წინააღმდეგ. ბოლოს ისე მოხდა, რომ, სამშობლოში გამომგზავრებული, გერმანიაში რომელილაც სახ-ჭოთა ოფიცერს წაეჩხუბა და რატომღაც ყველაზე და ყველაფერზე განაწყენებულმა ისევ საფრანგეთში ამოჰყო თავი, უცხო ქალი შეირთო ცოლად, უცხოთა მიწაზე დაიდო ბინა. საქართველოში დარჩენილი ახლობლები, საყვარელი სამშობლო მაინც არასოდეს არ დავიწყებია, არც სიტყვით, არც საქმით არ შეულახავს მისი ავტორიტეტი.

ყოველივე ეს პეტრე ჟიტიაშვილის ამხანაგებმა მიამბეს, რომლებიც მასთან ერთად იბრძოდნენ ფრანგ პარტიზანთა რიგებში. თვითონ პეტრესთან ჩემი ნაცნობობა კი ამ სამი წლის წინათ დაიწყო, როცა მან გაზეთ „სამშობლოს ხმაში“ გამოსაქვეყნებლად გამოგვიგზავნა ლექსი თბილისზე. თუმცა ლექსი მოცულობით პატარა იყო, მაგრამ მასში ისე კარგად ჩანდა ჩვენი დედაქალაქის არა მარტო ისტორია, არამედ მისი დღევანდელი სახე, მის ბედნიერ მკვიდრთა ბედნიერი აწმყო და კიდევ უკეთესი მომავალი, რომ თუ კონვერტს უცხოური დამღა არა ჰქონოდა, ვიფიქრებდი: ეს კაცი სადღაც საფრანგეთში კი არა, თბილისის რომელიმე უბანში ცხოვრობს-მეთქი.

ჩვენ შორის წერილობითი კავშირის დამყარებას ის მოჰყვა, რომ პეტრე ჟიტიაშვილი თავისი ოჯახით ამ ზაფხულს სტუმრად გვეწვია საქართველოში. მე მას თავის ძმებთან ერთად ბელორუსიის ვაგზალზე შევხვდი მოსკოვში. ძნელია იმის აღწერა, თუ რა სიხარული განიცადეს ღვიძლმა ძმებმა ოცდახუთი წლის შემდეგ პირველი შეხვედრით.

— ნუთუ ეს მართალია?.. ჩემს თვალებს ვერ ვუჯერებ... მგონია, სიზმარში ვარ... — რიგრიგობით მესმოდა ცრემლად დაღვრილი სამივე ძმისაგან.

პეტრე და მისი მეუღლე ძმებს „დავუთმე“, მე კი მათი პატარა ქალ-ვაჟი ჩავისვი მანქანაში და სასტუმროსაკენ გავემართეთ.

— რა გქვია, მშვენიერო? — ფრანგულად ვეკითხები ათიოდე წლის ქალიშვილს.

— ნინო, — მეუბნება და მორცხვად ხრის თავს ანგელოზივით ლამაზი გოგონა.

— შენ?

ვერცხლისწყალივით მოძრავმა ბიჭუნამ უცებ მიპასუხა:

— როლანდი.

მერე უცბადვე შეასწორა:

— არა, როლანდი კი არა, ქართული სახელი მჭვიან — ლავრენტი.

— ქართული თუ იცი?

— ვიცი.

და მაშინვე დაიწყო:

„მე პატარა ქართველი ვარ...“

მეტი ვეღარ გაიხსენა. ნინო წამოეშველა.

„... კავკასიის მთების შვილი...“

ერთიმეორის დახმარებით პატარებმა, როგორც იყო, ჩაათავეს ლექსის სტროფი.

— მე თვლაც ვიცი. ეღთი, ოღი, სამი, ოთხი, ეფსი... თითებს კეცავს და ისე ითვლის პატარა. ბოლოს, ათამდე რომ დათვალა და ორი თითი ისევ მოსაკეცი დარჩა, მიხვდა რომ შეცდა, სიცილი დაიწყო, კისერზე ჩამომეკიდა და კოცნა დამიწყო.

მეც სიამოვნებით ჩავიკარი გულში პატარა ქართველი.

მოსკოვში სულ ერთი დღე-ღამე დავრჩით. ვინახულეთ წითელი მოედანი, კრემლი, ურანმობათა სასახლე, უნივერსიტეტი, მეტრო. ქალაქმა საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა სტუმრებზე, მაგრამ მათ ახლა ყველაზე მეტად საქართველო და იქ მყოფი ნათესავ-მეგობრების ნახვა აინტერესებდათ. ამიტომაც მეორე დღეს თბილისში ვიყავით. მესამე დღეს კი გორში გავემგზავრეთ.

— ეს რა ადგილია? ახლა სად ვიმყოფებით? ამ ლამაზ შენობაში რა არის მოთავსებული? — წამდაუწუმ მეკითხება პეტრე.

მეც ვუხსნი.

პეტრეს კმაყოფილებით ებადრება სახე.

— კარგია, ძალიან კარგია! სწორედ ისეა, როგორც თქვენს გაზეთში წერდით, — მეუბნება და ისევ ვერ ისვენებს ადგილზე, მანქანის ხან ერთ ფანჯარას აწყდება, ხან მეორეს, ყველაფერი უნდა დაინახოს, გაიგოს, დაიხსომოს.

— მცხეთა, მცხეთა! — უცებ აღტაცებით იყვირა პეტრემ. მერე თავის მეუღლეს მიუბრუნდა და ფრანგულად ჰკითხა: — იცი, რა ჰქვია აი იმ მთაზე ამართულ მონასტერს?

— ჯვარი, — უყოყმანოდ მიუგო ქალბატონმა პოლეტიმ.

— ამას? — ახლა სვეტიცხოველზე მიუთითა პეტრემ.

— სვეტი-ცხოველი, — ძნელად, დამარცვლით გამოთქვა ქალმა.

მე ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი გაკვირვება.

— ნუ გიკვირთ, — მეუბნება პეტრე, — ჯერ ერთი, პოლეტი ჯვარსა და სვეტიცხოველს ფოტოსურათებით იცნობს; მეორე, მე წელან მცხეთა-მეთქი, წამოვიძახე, ჩემმა მეუღლემ კი კარგად იცის, რომ მცხეთაშია ჯვარიცა და სვეტიცხოველიც. გარდა ამისა, პოლეტის საკმაოდ ნათელი წარმოდგენა აქვს საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე, ყოველ შემთხვევაში, თითქმის ისეთივე, როგორიც მე. — პეტრემ მეუღლეს გადახედა და თითქოს ჩემი კიდევ უფრო მეტად გაკვირვება უნდაო, ღიმილით დაატანა: — პოლეტის ცოტა ქართულიც ესმის.

— მართლა, ქალბატონო? — ქართულად შევეკითხე.

ქალმა ღიმილით თავი დამიქნია, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია, ცერი და საჩვენებელი თითი ოდნავ დააშორა ერთიმეორეს და ქართულად კარგად გასაგებად თქვა: — ცოტა-ცოტა, და შეცდომისაგან რომ დაზღვეული ყოფილიყო, ყოველ შემთხვევისათვის ფრანგულად დააყოლა — ენ პე.

მცხეთიდან გორამდე, გზის ორივე მხარეს, სადამდეც კი თვალი გაუწვდება, ვაზისა და ხეხილის სწორი მწკრივებია გაყოლებული. ასეთი რამ პეტრეს არ ახსოვს. არც დაახსომდებოდა. წინათ აქ გადამხმარი ველები იყო და აქა-იქ ძეძვი ხარობდა მხოლოდ.

„ნაცნობი გზებით მოგზაურობა უცნობ მხარეში“ — ასე უწოდა პეტრემ თბილისიდან გორამდე ჩვენს მგზავრობას და მართლაც არა ერთგზის გაუმეორებია ეს სიტყვები.

ქსნისა და არაგვის მაცოცხლებელმა წყალმა, ქართველი კაცის გამჯრე მარჯვენამ ბუნებაც და ცხოვრებაც ერთიანად გარდაქმნა, გაალამაზა.

ახლა თვითონ გორი!

— მამის სულს გეფიცებით, — არაერთხელ უთქვამს შემდეგში პეტრეს, — მარტო რომ წამოვსულიყავი, არათუ ჩემს სახლს ვერ მივაგნებდი, გორსაც კი ვერ ვიცნობდი. ერთადერთი, რაც ქალაქს ძველი შემორჩა, ეს არის გორის ციხე, სხვა მხრივ კი ისე გამოცვლილა, ისე გალამაზებულა, რომ თუ საკუთარი თვალით არ მენახა, არაფრით დავიჯერებდი.

გორში პეტრემ ერთი კვირა გაატარა თავის ნათესავებს შორის. კვირის თავზე მოვინახულე. გაშავებულიყო, ქართულ მზესა და ჰაერს ბრინჯაოსფრად შეეღება მისი ფერმკრთალი სახე, დაღლილობა ეტყობოდა, ჩემი ნახვა დიდად გაუხარდა.

— თუ ძმა ხარ, თბილისში წაგვიყვანე, თორემ აქ ძალიან „გაგვიჭირდა“, — ხუმრობით შემომჩივლა პეტრემ. — დილით ალიონზე რომ წამოგკაგდებენ საწოლიდან, შუაღამემდე სუფრას ვუსხედვართ. მასპინძლებს კიდევ რა უჭირთ — რიგრიგობით იცვლებიან, მე და ჩემი ოჯახობა კი ძალიან დავიღალეთ, უარსაც ვერავის ვეუბნებით და ვართ ასე, ორ წყალს შუა.

იმ საღამოს თბილისში დავბრუნდით. გზადაგზა პეტრე თავის შთაბეჭდილებებს მიზიარებდა. იმას მოესწრო ახლომახლო სოფლების დათვალიერება და აღფრთოვანებული დარჩენილიყო იმ სიახლით, რაც იქ ენახა.

— ის სოფელი, სადაც მამაჩემი დაიბადა და სადაც ახლა ჩვენი ბიძაშვილები ცხოვრობენ, გორს სულ ათიოდე კილომეტრით არის დაშორებული, — მიყვება პეტრე. — სოფელი მთლიანად ადგილზეა გაშენებული და სარწყავი წყალი არსაიდან უდგებოდა, ყოველ ოჯახს რამდენიმე ხე თუ ედგა ეზოში, ძირითადად ხორბლის მოყვანასა და მეცხოველეობას მისდევდნენ. ახლა სოფლის ზემოთ, მთებში მდინარისათვის გზა შეუკრავთ, წყალი მთა-მთა წამოუყვანიათ და მთელი მინდორი სარწყავად უქცევიათ. დღეს ჩვენს სოფელში ხორბალი ნაკლებად მოჰყავთ, ნაყოფიერ მიწაზე მეტწილად ბაღი და ვენახია გაშენებული. შემოსავალი, ეტყობა, კარგი აქვთ, ყველას ორსართულიანი სახლი წამოუმთავს და კარგი ავეჯითაც მოუწყვიათ. ბევრს საკუთარი მანქანაც აქვს. ერთი სიტყვით, ქართლი ძალიან გამდიდრებულა და გამშვენიერებულა.

ქალბატონი პოლეტი ერთდროულად აღტაცებულიც იყო ქართული სტუმართმოყვარეობით და კიდევაც სწუხდა: ამდენი სახელ-საჭმელი, რაც ამ კვირის განმავლობაში ჩვენთან შეხვედრებში დაიხარჯა, ერთ მოზრდილ ოჯახს მთელ წელიწადს ეყოფოდაო.

— ყველაფრით კარგი ხა... რომ არა გქონდეთ — ფულ... მეტი ფულანგველები ხართ, ...

— ჩემზედაც ხომ არ ამხ... შეეკითხა პეტრე.

— არა, შენზე არ ვამბო... მაშინ მომიყვნენ პეტრე ... რებდნენ დღე და ღამეს, რ... საკუთარი კერა ჰქონოდათ, ...

— მე ახლაც დღეში 12-... მომჭანცველი. სარკეების წ... პროცესებთან და ჯანმრთელ... ვად ამისა, უკანასკნელი 15 წ... საქართველოში ჩამოსვლისას ... ლებით მესარგებლა. დღემდე ... რას ერქვა. შეიძლება ყოველ ... იყოს, თქვენ არ გჭირდებათ ... ირგვლივ ნათესავ-მეგობრები ... დღითაც არ გემუქრებათ. მე ... მოხვედრილს, სინდისი ნებას ... რა ხელი. თანაც მე ხომ მოვ... რუნო, სანამ მათთვის პატარა ... ვისვენებ. — ყრუ, ძლივს გა... თან სიყვარულით უსვამდა ... რენტის.

ერთ კვირაზე მეტ ხანს მ... რაიონების ღირსშესანიშნაო... ბიქან და მუზეუმებიდან დ... ტიტუტებითა და სასახლეებ... ლება დატოვა სტუმრებზე ნა... რი, რომელსაც მე ბავშვობ... თითქმის ყოველდღიურად ...

გაგაცნობთ ზოგიერთ ჩან...

24 ივლისი. ორი დღეა ... რიულ მუზეუმს. პეტრეს დ... აინტერესებთ, ხშირად რა... ერთია და იმავე ექსპონატს. ... ლეტიმ:

— ჩემი მეუღლისაგან ა... ველებს უძველესი დამწერ... მოადნეს ოქრო და ფოლად... ნიშნავს. მაინც დიდად გამა... ზადებულმა ხატებმა, სასმის... ოსტატობა, ფანტაზიის რა დ... ველ ნამუშევარში, ხელოვან... ბარელიეფსა თუ ორნამე... ფერსებსა თუ სხვა ნახატ... ნახავ.

25 ივლისი. სახვითი ხ...

პეტრე: — ეს მუზეუმი ... სანიშნავი კულტურისა და ... ნამუშევრები კი იმაზე მეტ... ღირსეული მემკვიდრენი ეზ... საზოგადოება დიდად ზრუნ... არზრდაზე.

26 ივლისი. პიონერთა ...

პოლეტი: — პიონერთა ... შვები აქ კარგად ერთობიან ... ლებს შეუძლიათ გულდამშ...

პეტრე: — ეს სამოთხეა, ... წარმოდგენა არათუ ბავშვს, ... მომავალ სპეციალისტთა, ... სამჭედლო.

27 ივლისი. კახეთი.

პოლეტი: — კახეთი ს...

28 ივლისი. თბილისის ...

პეტრე: — რაც შეეხება ... ნაა. თბილისის ზღვა, სპორტ... შესანიშნავი პარკითა და ს... საც გნებავთ დაამშვენებდა. ... ნაჯოს უცხოელში მცხოვრებ... რად არ დაიჯერებენ.

პოლეტი: — ასეთი ლ... ხავს. თბილისის ზღვა გამრ... ერთი საკვირველებაა. რამდე... ხე იქნება.

29 ივლისი. ბორჯომი.

პოლეტი: — პირენეის მ... პებიც მინახავს, ბორჯომის ... არ შეედრება. ეს განხორც...

5 აგვისტო. ბათუმი. მ...

პოლეტი: — სიტყვები ა... ვანება.

9 აგვისტო. დღეს გორ... სავსე დამხვდა პეტრეს თ...



მშობლიურ საქართველოში თავისი ცოლშვილით ჩამოსულმა პეტრე ჟიტიაშვილმა ბევრი ტკბილი დღე გაატარა თავის ნათესავებში, ნაცნობ-მეგობრებში. სურათზე: პეტრე ჟიტიაშვილი თავის თანაკლასელებთან, მარცხნიდან — ნიკო ჯავახიშვილი, აბესალომ ჩიხლაძე, პეტრე ჟიტიაშვილი, ვანო რატიშვილი (ქ. გორი, 1965 წ. ზაფხული).

…ისკენ ყოფნას …აქ სიკვდილი

…ი ბა…თველები, ერთი დიდი ნაკლი …ულისი…ი სრულებით არ იცით, მეტის…თ, …ასკვნა პოლეტონმ.

…ამბრ…ას, ქალბატონო? — ღიმილით …მბობ, ღიმილითვე უპასუხა ქალმა.

…რე დი…ი მეუღლე, თუ როგორ ასწო… …რო…ადებდნენ კაპიკს კაპიკზე, რათა …თ, დედრებელი ლუკმა ეჭამათ.

12-…ათს ვმუშაობ. სამუშაო მძიმეა, …წარ… დაკავშირებულია ქიმიურ …ელ…ებ… მეტად საზიანოა. მიუხედა… …15 წ…ვლობაში მხოლოდ ახლა — …ასას …ი ჩემს ბავშ…ებას შვებუ… …ემდე… ვიცოდი, ნამდვილი დასვენება …ველ… თქვენთვის ძნელი გასაგები …თ …ა…ატანოთ საკუთარ თავს, როცა …რები…ან, როცა უმუშევრობა ერთი …ე …ცხო მხარეში, უცხოთა შორის …ბას …ლევდა: სამოწყალოდ გამეშვი… …ოვალ… ბავშვების მომავალზეც ვიზ… …არ…ალს არ დავაგროვებ, ვერ მო… …ვ…ი ამით ლაპარაკობდა პეტრე და …ალს პატარა ნინოსა და ლავ…

…ს მ…თ თბილისისა და ახლომახლო …აობ… დათვალიერებას. ძველი უბნე… …დ… და ახალი კვარტალებით, ინს… …ებ…ვ…თავრეთ, თუ რა შთაბეჭდი… …ნა… …ამაზე მეტყველებს ჩემი დღიუ… …ობ… შემორჩენილი ჩვეულებისამებრ …ჩა…ა მნიშვნელოვანი შემოკლებით. …ა …ლ…ერებთ სახელმწიფო ისტო… …დ… პოლეტის უველაფერი …რამ…ემე მიუბრუნდებიან ხოლმე …ტ…. …ა განაცხადა ქალბატონმა პო…

…ა…დ… შეონდა, გაგონილი, რომ ქართ… …რ…, რომ მათ პირველებმა გა… …დ… …ავად, ეს უკვე ძალიან ბევრს …მა… …თვით ამ ლიტონებისაგან დამ… …ის… და სხვა ინვენტარმა. როგორი …დ… …უნარი მოჩანს იუველირის ყო… …ან… …ერ ქვაში თუ ხეზე ამოკვეთილ …ვ…ში… …ა გემოვნებით შესრულებულ …ტ… მოსფლიოში ასეთს ბევრს ვერ …ხ…ების მუზეუმი.

…კ… ერთი დადასტურებაა ჩვენი შე… …ის…ისა. აქვე გამოფენილი ბავშვთა …ტ…ებს, რომ დირსეულ წინაპრებს …ზრ…ა. ჩანს, სახელმწიფო, სკოლა და …ნა… მომავალი თაობის ყოველმხრივ …ს…ე და ბანაკი.

…ს… და ბანაკი შესანიშნავია. ბავ… …ნ, …ნე ზრუნავენ, ასწავლიან. მშობ… …ვ…თ იყვნენ.

…ედნიერებაა, რომელზე უკეთესის …ც კი გაუჭირდება. ეს არის …ოვანთა, მეცნიერთა ნამდვილი …ი…ბრის დაულეველი ზღვაა. …შენებლობანი.

ეს. ეს ჩემთვის მთელი აღმოჩე… …ახლე, საბურთალო, ვაკე თავისი …თ მსოფლიოს რომელ ქალაქ… …ევ ეს თავისი თვალთ უნდა …თეულმა ქართველმა. სხვანაი… …ორიგინალური ქალაქი არ მინა… …ნების მიერ შექმნილი კიდევ …ელწადში აქ ნამდვილი სამოთ…

…ც ვუოფილვარ, შვეიცარიის ალ… …, მგონი, სილამაზით არცერთი …ლი ოცნებაა. …ონცხი. ბოტანიკური ბაღი. …ნის გამოვთქვა ჩემი აღფრთო…

…პეტრეს სანახავად. სახლი …ებითა და მეგობრებით. წინა დღით ახლად გარდაცვლილი მამის საფლავი მოენახულებინათ და პეტრე ვერ იყო ხასიათზე, დამნაშავე ვარ მშობლის წინაშე, ცოტა რომ მეჩქარა, ცოცხალს ჩამოვუსწრებდიო, ამბობდა.

ისე გამოვიდა, რომ უმცროსმა ძმამ ნიკომ ცეცხლზე ნავთი გადაასხა: სასაფლაოდან დაბრუნებულს ცხელ გულზე ლექსი დაეწერა და ახლა პეტრეს წაუკითხა საჯაროდ. ძნელი იყო ძმისაგან ასეთი სიტყვების მოსმენა:

დავხვდეთ მიწას ახალდაყრილს, ჯერ უბალახოს,
ერთურთს შევხვდეთ გაკვირვებით, გულჯავრიანად,
ირგვლივ ყოველი საყვედურის გაძლევდა ეხოს,
მშობელი მამაც საყვედურით შეგეხმიანა:
— ოცდახუთი წლის უხანავი მოხვედი, შვილო!
ვაი შენს მამას, რომ სიცოცხლით ვერ მომისწარი.
აჰა, დამხვედ! მაგრამ, ვაღლახ, მე ვეღარ გხედავ,
დღეს მიწა არის საბანი და ჩემი შეწყარი...

პეტრე ცუდად გახდა, კინალამ გული შეუღონდა. ამხანაგებმა სთხოვეს ნიკოს ლექსის კითხვა შეეწყვიტა, მაგრამ თვითონ პეტრემ არა ქნა, ხელით ანიშნა — გააგრძელეო, და ძმამაც „აღარ დაინდო“ ძმა — ბოლომდე ჩაიკითხა ლექსი:

ბუნების ძალავ, დაღოცვილო! შენა გთხოვ, შენა·
შორს გადახვეწილ ქართველ შვილების ყველას ეღირსოს,
ეღირსოს ნახვა მშობლებისა, **ეღირსოს ღხენა!**
ერთად ვიქნებით ბედნიერნი იმათთან ჩვეია!
ჰქმენი· ქართველმა ქართველისას ლოყასა ჰკოცნოს,
შენ შეგკადრეთ საქართველოს ცისქვეშ ყველანი!
ბურუსი მოსპე, რომ კვლავ ძმამა ძმა გაიცნოსს,
შვილმა იტიროს საფლავზედა მშობლის ცხედარი...

პეტრე წამოდგა, მთვრალივით ბარბაცით მიუახლოვდა უმცროს ძმას და გადაეხვია.

— გმადლობ, ძმაო, გმადლობ! — ძლივს გასაგებად ჩურჩულებდა და ცრემლად იღვრებოდა.

კარგა დრო გავიდა, ვიდრე ძმები გულს დაიწუნარებდნენ მერე, როცა უველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა და ამხანაგებმა ზუმრობაც წამოიწყეს, ახლა პეტრემ გამოიდო თავი: ჩემი ძმის ლექსს ლექსითვე უნდა ვუპასუხოო, ოღონდ ვერ გადაეწყვიტა, რომელი ლექსი წაეკითხა.

— „ხიზანი“ წაიკითხე, პეტრე, — ვურჩიე მე და ლექსის ხელნაწერიც მივაწოდე, რომელიც მან ჯერ კიდევ მოსკოვში შეხვედრისას გადმომცა.

— არა, „ხიზანი“ არ ივარგებს. ფრანგულია და ვერ გაიგებენ.

— გარგებენ, ნუ გეშინია, წაიკითხე, — დავიმედე მე.

— წაიკითხე, პეტრე, წაიკითხე, — სთხოვეს ამხანაგებმაც.

პეტრემ ლექსი წაიკითხა და ამხანაგებს გადახედა. აბა თუ გაიგეს რამეო.

ოთახში ერთ ხანს სიჩუმემ დაისადგურა, მერე აბესალომ ჩიხლაძემ ამოღერღა როგორც იყო:

— კარგად იყო გარითმოლი... შინაარსიც მომეწონა...

— აბა, რა გაიგე შინაარსისა, შე ბედოვლათო? — გაეხუმრა ნიკო ჯავახიშვილი.

— რალა დაგიმალოთ და — ვერაფერი.

ამ სიტყვაზე უეცრად ისეთი ხარხარი ატყდა, რომ ზოგიერთი ძირს გორავდა, მუცელზე ხელს იკიდებდა და ცრემლებს ვერ იკავებდა.

— შემარცხვინე და ეგ არის, — ძლივს გამოგონა ხმაურში პეტრემ.

პასუხად ფეხზე წამოვდექი, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოვიღე და ფრთხილად გავშალე.

თითქოს ბასრი მახვილით მოკვეთესო, ისე უეცრად ჩაქრა სიცილი. ყველა მე შემომყურებდა რაღაცა ახლის მოლოდინში.

— „ხიზანი“ — ვთქვი მე და, რამდენადაც შემეძლო, მხატვრულად წავიკითხე:

აღარ გათავდა უცხოეთში ეს ხეტიალი!
აღარ ასრულდა ერთადერთი ჩემი სურვილი·
დავტოვო სხვათა ქვეყანა და მიწა ტიალი,
ვნახო სამშობლო — სხივთა კონით ოქროცურვილი.

სევდა მიმაფრენს უკეთუ
აღმოსავლეთის მხარესა,
ჩემი სახლის წინ უკეთურს
დავტირი ბედსა მწარესა...

გულით იქა ვარ, სადაც ტკბილი დავტოვე დედა,
სადაც დარგული ჩემმან ხენი ისევ მიცდიან;
უცხო მხარეში სასიმღეროს ვერაფერს ვხედავ,
უცხოთა ჭერქვეშ მე ცხოვრება არ შემიძლიან.

როცა დავტოვე მე სამშობლო — ტურფა ედემი
სულმა დაიწყო აღშფოთება, მოთქმა-გოდება:
— სად, სად გარბიხარ! რა ღობეს და ყორეს ედები,
დედა თუ არა, შენი თავი არ გეცოდება?

ჩემს ეზო-ყურეს, მთელ სოფელს და საყვარელ დედას
ცხადშიც კი გხედავთ (იქნებ ჩემთვის გულიც ჩარაზეთ?),
გხედავთ ჩემი ხნის გოგონებს და ვაჟკაცებს გხედავთ
სიცილ-კისკისით მიმავალებს სოფლის შარაზე...

ქვეყნად არასდროს დაილევა კეთილი ხალხი.
უცხოთა მხარეს შემიფარეს, მომაგეს წილი,
მაგრამ ჩემს ირგვლივ ყოველივეს ფერი აქვს თალხის,
რადგანაც მქვია უთვისტომო, გადახვეწილი.

სევდა მიმაფრენს უკეთუ
აღმოსავლეთის მხარესა,
ჩემი სახლის წინ უკეთურს
დავტირი ბედსა მწარესა...

უცებ ატყდა ტაშისცემა და შეძახილები:

— ყოჩაღ, ბიჭო!

— შენ გენაცვალე!

— შეგანიშნავი ლექსია!

ყველა დამხსწრემ თავისი აღტაცება და სამადლობელი პეტრეს კოცნით გამოხატა. ავტორმა ძლივს დააღწია თავი მეგობრებს, ჩემთან მოვიდა და ხელი მაგრად, ვუკაცურად ჩამომართვა.

11 აგვისტო. დღეს მცხეთაში, საქართველოს ძველ დედაქალაქში შეიკრიბნენ დიდი სამამულო ომის დროს საფრანგეთის პარტიზანულ რაზმებში მებრძოლი ქართველი ამხანაგები პეტრესა და მისი მეუღლის პატივსაცემად.

— გახსოვს პეტრე?

— გახსოვს ოთარ?

— გახსოვს? გახსოვს?

და ყველანი საფრანგეთის მიწაზე გერმანელ ფაშისტებთან უთანასწორო ბრძოლაში სისხლით დაძმობილებული ყოფილი პარტიზანები მრავალ საინტერესო თავგადასავალსა და ისტორიას.

შეხვედრამ მეტად ხალისიანად ჩაიარა. გამოითქვა აზრი მეგობრობის განმტკიცების მიზნით ყოფილ ფრანგ და ქართველ პარტიზანთა შორის დელეგაციების გაცვლის შესახებ.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

მოდი, დაგვიბრუნდი!

ჩემს ძმას პეტრე ჭიტიაშვილს

რიგორც სიზმარი და როგორც მოჩვენება
დღეს ასე მგონია, არ მჯერა, რომ გასახე.
რა ვიცი, რა იყო — ქება თუ შეჩვენება,
სიკეთე, სიხარული ან თუ სივაგლახე.
ბევრი ვიტირეთ და ბევრიც ვიშვიმეთ,
ალბათ დრომ შეჭამა ტკბილი შესარგისი,
მაგრამ ვერ გავიგეთ: რაღად გაგვეყარე,
მაგრამ ვერ გავიგეთ: ჩვენი ხარ ან სხვისი.
მანდ ლხინი, სიკეთე ან თუნდაც დარები,
რის მაქნისია, — არა აქვს იერი,
მოდი სამშობლოში, ღია გაქვს კარები,
აქ უფრო გექნება ფესვები ძლიერი.
შენ უცხო ნერგი ხარ იქ — სხვათა მიწაზე...
შეგატყვე, ნაღველი რომ გედგა თვალებში.
დაბრუნდი, ძმაო და, გჯეროდეს, გვიწამე,
აქ უფრო მეტია სითბო და ალერსი.
დაბრუნდი! დაბრუნდი! მოგძახის სამშობლო,
მშობლიურ კერაზე დამყენე სიხარული,
შენ, ქართულ მიწაზე ნაბადო, ნაშობო,
ნუთუ გაგიჭირწყლდა ჩვენი სიყვარული?
ნუთუ აღარ გჯერა აწმყო-მომავლის?
ნუთუ ჩვენზე, ძმაო, ხელი ჩაიქნიე?
მოდი, ავამღეროთ იმედები ხვალის
გეყო მანდ რაც ნახე, გეყო რაც იწვნიე.
ვიცი, გულმოკლული, ვიცი, ცრემლიანი
აწყდებოდი ქუჩებს გზაბედმოცარული,
მანდ ვერ მოგეწვდებოდა დღე გულრთველიანი,
თან დაგჭონდა ოხვრა, ღამის მოყვარული.
თან დაგჭონდა ფიქრი, ფიქრი ჩვენი წილი,
წლების გრძელმა მწკრივმა ბევრჯერ დაგაღონა.
გულმართალო ძმაო, რად იწამე ტყვილი,
რატომ გაგვეყარე, ვინ რა ჩაგაგონა!
მოდი დაგვიბრუნდი, შენი კუთხე-მხარე,
შენი ბაღჩა-ბაღი კიდევ გაახარე,
აქ დაამყნე აწმყო, ტკბილი მომავალი,
მოდი დაგვიბრუნდი, მოდი დაიდარე.

ნიკო ჭიტიაშვილი.

ქ. გორი.

პირველი ნაბიჯები

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მომდინარეობს მზადება კომედია „ნაცნობი სახეების“ გადაღებისათვის. სცენარის ავტორმა, ახალგაზრდა კინოდრამატურგმა ა. ჭიჭინაძემ თავისი გმირების მოქმედების ადგილად აირჩია ღვინის ქარხანა. უკვე ეს იწვევს ინტერესს ფილმისადმი, რადგან მეღვინეობით სახელგანთქმულ ქვეყანას —საქართველოს ჯერ კიდევ არ შეუქმნია ფილმი მეურნეობის ამ დარგის შესახებ, რომელიც სულ უფრო უხვევს სახელს ჩვენს რესპუბლიკას მსოფლიო მასშტაბით. ნაცნობი სახეები“ ა. ჭიჭინაძის სადიპლომო ნაშრომია. მან კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირთან არსებული უმაღლესი სასცენარო კურსები დაამთავრა.

ფილმი ასახავს ახალგაზრდა სპეციალისტის ლევანის საქმიანობას.

ფილმის დამდგმელის ო. იოსელიანის სახელი კარგად არის ცნობილი კინოს მოყვარულთათვის. იგი ავტორია ფილმებისა „საპოვნელა“ და „თუჯი“. „ნაცნობი სახეები“ მისი პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია. 1961 წელს ო. იოსელიანმა დაამთავრა სსრ კავშირის კინემატოგრაფიის ინსტიტუტი.

ფილმ „ნაცნობი სახეების“ გადამღებ კოლექტივში არიან რეჟისორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. მშველიძე, ოპერატორი გ. გერსამია, მხატვარი დ. ერისთავი, რეჟისორი თ. გავრილოვა.

იწ ფურცლავდა „კომედი ილუსტრეს“.

ჟურნალის ამ ნომერს მოუთმენლად ელოდა. ძალიან აინტერესებდა, რას წერდნენ მასზე ხელოვანთა მექაში. ადრეც დაეწერათ საკმაოდ, მაგრამ „კომედი ილუსტრე“ მაინც სხვაა. ეს უკვე ნამდვილი აღიარებაა.

„ალბათ ეს არის“.

თვალი გადაავლო დაირამომარჯვებული ქალის სურათს და უნებურად გაეღიმა. უფრო გაეღიმა იმ ცდილებაზე, მის ქართულ გვარს რომ განეცადა. თითქოს აქამდე უნდა შესჩვეოდა ასეთ რამეს, მაგრამ არ იქნა და არა, მაინც ეხამუშება. ვერც ვერაფერს გაამწყობ. ასეთია პარიზი. მას უყვარს მბრძანებლობა ხელოვანზე, გამომცდელი მბრძანებლობა, რომელიც ნიველირებულს გზდის, თუ ნამდვილად საკუთარი არ მოიმადლებია, თუ მაგრად არ დგახარ ფეხზე.

თვალი ჩააყოლა სტატიას:

„...იგი პირველი ქალია, რომელმაც სძლია ცრუ შეხედულება თავისი ქვეყნისა და საცეკვაოდ გამოვიდა სცენაზე“.

ო, ეს მეტისმეტია! წინააღმდეგობა კი იყო, მაგრამ ცრურწმენა?! თუმცა რა სათქმელია. ასეთი რამისათვის აქ ბოდიშს არავინ იხდის.

„...ცნობილი მოცეკვავის მოწაფემ, პირველად სახელი გაუთქვა უფრო თავის მასწავლებელს. მასთან ერთად შემოიარა დიდი ნაწილი რუსეთისა და ყველგან აღაფრთოვანა საზოგადოება. ცოტა ხანი ბელგიაში დაჰყო. შემდეგ ეს ნარნარა ბალერინა მოიწვიეს „იმპერიალში“, სადაც ყოველ საღამოს პარიზის რჩეული საზოგადოება აღტაცებაში მოდის მისი ხელვითა და ცეკვით. მთელი არსებით გატაცებულია ხელოვნებით, რაც საშუალებას აძლევს გამოააშკარაოს ჯერ უნახავი და გაუგონარი მშვენიერება კავკასიელი ქალებისა. მას განზრახული აქვს ცეკვითა და პანტომიმით დაასურათოს ლექსები და ლეგენდები კოლხიდისა. მისი ცეკვა ჰეშმარიტად არტისტული გამოვლინებაა მაღალინტელექტუალური სიმპათიური არტისტ ქალს საერთო მოწონება და აღიარება მოელის“.

რაც მართალია მართალია! კი სურს, ძალიან სურს თავის ცეკვებში ჩააქსოვოს განუმეორებელი და პოეტური, მის ხალხს რომ მოჰმადლებია. ალბათ ამით თუ მონუსხა პარიზი. ეს თუ იტაცებს ყველაფრის მნახველ, ბეერჯერ გულმოყირჭებულ საზოგადოებას.

ილია რურუა

ჰიმნი პანტას

მ ო თ ხ რ ო გ ა

◆

შენი ცის მერცხლად ვგრძნობ თავს, სამშობლოვ, ამ უცხოობაშიც. შენი ხმა მესმის ძილსა და ცხადში. შენი ჰანგები ატოკებენ ჩემს სხეულს შეხსავე სადიდებლად. შენი „იავნანა“ კდემასა მფეთს, შენი „ცანგალა და გოგონა“ სიჩუქრით მავსებს... მწუხარებას შენზე, დარდს შენზე, ფიქრს მახლობელ-ნათესავებზე მგვრის „გაფრინდი შავო მერცხალო“...

ყველაფერი ეს ჩემს არსებაში ცოცხლობს ფარულად, ტანჯვითა და ტკივილით და ამ ტანჯვა-ტკივილის ნაწილს ყოველ საღამოს ვატან ცეკვას, როგორც ქარს... მაგრამ დარდი ვინ გახმიქარვოს, ნახვა-მოხლების სურვილი როდისღა ავისრულო?

ისევ თვალწინ დაუდგა მშობლიური მხარე, მამისეული კარმიდამო. თქვენ წარმოიდგინეთ, პანტა, საყვარელი პანტაც კი, რომლის ტოტებიდან ქვეყნიერება გადასცქეროდა. რას იფიქრებდა, თუ ხილული ჰორიზონტი ამ სივრცე-სიგანეზე გაიწევდა, თუ ბედი ასე შორს გადაისვრიდა...

სადა ხარ, იიავო, მშობლიურო ნიავო, პანტას რომ ეხეთქი, თმას რომ მიწევდი?.. ამ სიშორეზე შენც ვერ მობედავდი. შენ უფრო ერთგული გამოდექი ჩემი საყვარელი პანტისა... შენ გბაძავდი, ნიავო, შუშპრობაში და ამ გატაცებამ აჰა, სად მომიყვანა, რაოდენ შორს აღმოვჩნდი შენგან!.. ნუ შემიძულებ, მშობლიურო პანტავ, გეხვეწები შენც, ჩემო ალერსიანო ნიავო... თუ ხვედრს რასმე გამოვტაცებ, ისევ თქვენთვის... თუ დიდებამ რამე მიბოძა, თქვენვე დაგიბრუნებთ, თქვენს ფეხთ დავფენ...

მოწდა ვისმე გასაუბრებოდა. ყველა ეს ფიქრი და აზრი, აღტაცება და გულისტკივილი გაეხდო. სურვილმა დაიმორჩილა, ქალაღდი აიღო და თავისი არსებისგან განუყრელ მეგობარს გული გაუხსნა:

„...თუ თავის ქებად არ ჩამომართმევ, გეტყვი, რომ ახლა მთელი არტისტული საზოგადოება პარიზისა ჩემზე ლაპარაკობს. აგერ ერთი თვეა, რაც ვთამაშობ პანტომიმაში. გამარჯვება ყოველ ჩემს მოლოდინს აღემატება. ვთამაშობ ცნობილ ქორეოგრაფთან, რომელიც თვითონ არის თეატრის დირექტორი. აგერ ექვსი წელია სცენაზე არ გამოსულა, რადგან შესაფერისი პარტნიორი არტისტი ქალი ვერ ეპოვნა. ახლა ცეკვავს ჩემთან ერთად და მთელი პარიზი მოგაწყდა. ბევრმა გამომცემლობამ დაბეჭდა ჩემი პორტრეტი. ყველგან მიწოდეს „დიდებული ქართველი მოცეკვავე“. ახლახან ერთმა ჟურნალმა მთხოვა დამეწერა რაიმე მშობლიურ ენაზე, პორტრეტზე დამებეჭდად. შენ გგონია, დავიბენი? მაშინვე დავაწერე:

„სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ“...

იგრძნო, რომ გულს მოაწვა რაღაც მძიმე, გამთანგავი და შემოჩვეულ დარდსა და სევდას რომ გამკლავებოდა, ისევ თავის პანტას უხმო, ჯადოსნურ პანტას, ხეთა მოდგმაში აბუჩად აგდებულს, აქ, შორეულ პარიზში კი სოცენებოდ გამხდარს, გამამხნევებელსა და ფფარველს.

...„როდესაც დაიბეჭდება, ჟურნალის ნომერს გამოგიგზავნი, არ დაგავიწყდეს, ჩამოყიდე იგი ჩვენს პანტაზე“.

რატომღაც ეწყინა, საყვარელი, ერთგული პანტა ასე რომ გაჩენილიყო. და გულმა გადმოღვარა მისდამი ჰიმნი:

„ახ, ჩემო ძვირფასო პანტა! რამდენი უდარდელი დღენი დავლიეთ ჩვენ ომის ჩრდილში! რა შორს მეჩვენება ახლა ის დრო! ნუთუ ჩვენ ვიყავით მაშინ... ერთი მოდგმა მისდევს მეორეს და როგორც ჩრდილი, გადადის ჩრდილში... ვინ იცის იქნებ როდისმე ჩვენმა შვილიშვილმა წაიკითხოს ჩემი ბიოგრაფია და მადლობა უთხრას ჩვენს პანტას. განა იქ არ შევეჭვიე თავდაპირველად ფეხშიშველობას? რამდენი წყვილი ფეხსაცმელი დამგლეჯია იქ, დედაჩემის სამწუხაროდ! ახა რას ვიფიქრებდით, რომ მწუხარება მეტია ცხოვრებაში...“

* * *

მალე დაიწყო პარიზმა.

სიმშვენიერესთან ერთად გაჭრა სცენა, დიდება...

ხვედრმა არგუნა ის, რისიც ეშინოდა: მარტოდ ყოფნა პატარა პროვინციულ ქალაქში და იმის შწარე განცდა, რომ შენს არსებობას „ან ღიმილით შესცქერიან, ან ისეთ სახეს იღებენ, თითქოს არაფერი იცოდნენ“.

დაიწყებას მიეცა „საოცარი ქალი საქართველოდან“.

სამაგიეროდ როდი დამცხრალა გვნია მისი ხალხისა.

პარიზი კიდევ ერთხელ შეატორტმანა ქართული ცეკვის გრიგალმა.

1957 წელი...

„გასაოცარი მოცეკვავენი საქართველოდან...“

„განუმეორებელი ამბავი... ანგარიში დაიკარგა, იმდენჯერ აიხადა ფარდა“...

აღფრთოვანებულ პარიზელთა შორის იჯდა 72 წლის მოხუცი ქალი.

იგი ტაშს არ უკრავდა.

იგი ტიროდა.

ამ დიდების ნაწილი, თითქოს, მასაც ეკუთვნოდა.

მარტო ამისათვის როდი ტიროდა.

სული სამშობლოს რომ ვერ მიაბარა, ეს ატირებდა.



მოსწავლეთა ქორეოგრაფია.


სისხლძარღვები... პროტეზში

თანამედროვე ქირურგიაში ცნობილია სხვადასხვა ორგანოს ხელოვნური ორგანოებით შეცვლის ბევრი მაგალითი. ერთ-ერთ უკანასკნელ მიღწევად მედიცინაში მიაჩნიათ სისხლძარღვთა პროტეზები. ამ სახეობის ოპერაციას, რომელიც ცნობილია ალოპლასტიკის სახელწოდებით. დიდად შეუწყო ხელი ქიმიამ — მედიცინა მეობარმა. ბევრი ხელოვნური ქიმიური მასალა მეტად საჭირო აღმოჩნდა სისხლძარღვთა ქირურგიაში.

როგორ მოქმედებენ ხელოვნური სისხლძარღვები ორგანიზმში, რამდენად გამოადგნენ ისინი ალოპლასტიკას? ინსტიტუტის მეცნიერებმა ათი ქიმიური მასალა გამოსცადეს ამ მიზნით. მათ გამოარკვიეს, რომ ყველაზე პერსპექტიული ყოფილა ლავსანი, კაპრონი და დაკრონი.

ქართველმა მორფოლოგებმა საძაღლე ცხოველებს (ძაღლებს) შეუცვალეს დიდი სისხლძარღვები — მუცლის აორტა და ბარძაყის არტერია.

ხელოვნური სისხლძარღვი შიგნით იფარება ფენილით, ეგრეთწოდებული ინტიმათი, რომელსაც მეცნიერებმა ნეოინტიმა უწოდეს. მასში ნამდვილი ინტიმასაგან განსხვავებით განვითარებულია უწვრილესი სისხლძარღვები, რომლებიც კვებავენ ახლადშექმნილ ფენილს. ეს გამოკვლევა ფრიად მნიშვნელოვანია, რადგან სახავს სისხლძარღვთა ქირურგიაში პლასტიკური მასების გამოყენების ახალ შესაძლებლობებს, პერსპექტივას, რომ სავსებით შეცვალონ სისხლძარღვები, ამასთან თითქმის არ დაარღვიონ მათი ბუნებრივი ფუნქციები. ახლა მეცნიერთა წინაშე დგას ამოცანა: თავიდან აიცილონ თრომბი ხელოვნურ სისხლძარღვებში.



ჭიათურა, საჰაერო-საბაგირო გზების ქალაქი

ანაკოპიის სასახლეები

სოხუმის ტურიზმის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა თბილისელ სპეციალისტებთან ერთად დიდი მუშაობა გასწია ახალი ათონის კარსტული წარმონაქმნების შესასწავლად. ანაკოპიის გამოქვაბულში ამას წინათ სპეციალური ექსპედიცია იყო.

ძნელი იყო გამოქვაბულში ჩასვლა, რომლის სიღრმე 145 მეტრი აღმოჩნდა, ხოლო საერთო სიგრძე 1.340 მეტრს აღწევს. სპელეოლოგებმა პირობითად დაყვეს გამოქვაბული დარბაზებად: „აფხაზეთი“, „ქართველი სპელეოლოგები“, „თიხის დარბაზი“, „კანიონი“, „ივერია“, „თბილისი“, „ჰელიოქტიტები“, „სოხუმი“, „ტაძარი“.

მეტად ლამაზია ანაკოპიის მიწისქვეშა სასახლეები. „აფხაზეთის“ დარბაზში არის ტბა, რომლის ფართობი 300 კვადრატული მეტრია. ჭერიდან ეშვება ფერადი სტალაქტიტები, ხოლო კედლებზე ფარდების მსგავსად ბრწყინავს ნაღვენთი.

კიდევ უფრო დიდია „ქართველ სპელეოლოგთა“ დარბაზი. მისი სიგრძე 275 მეტრია. დარბაზში უზარმაზარი თეთრი სტალაქტიტებია, რომლებსაც „თეთრი მთა“ უწოდეს. დარბაზს ამშვენებს თეთრი კალციტის ნაღვენთი და სხვადასხვა ფორმის ფერადი სტალაქტიტები.

„თიხის დარბაზი“ ფართო გამოქვაბულია. შუაში ტბაა. ჭერიდან და კედლებიდან რძისფერი სტალაქტიტების გირლანდები ეშვება.

საოცარი სილამაზისაა „ტაძრის“ დარბაზი. მთელი კალციტის წარმონაქმნები აქ თეთრად, კრემისფრად, მწვანე-ნაცრისფრად, ვარდისფრად და ნარინჯისფრად ბრწყინავს. „ივერიის“ დარბაზს ამშვენებს ქვის ყვავილები, რომლებიც სქელ ხალიჩებად მოჰფენია იატაკსა და კედლებს. და ასე ყველგან, თვითეულ დარბაზს თავისი კოლორიტი, თავისი სილამაზე აქვს.

ტურისტებს შეუძლიათ დაათვალიერონ გამოქვაბულები. გამოქვაბულებში ჩასასვლელად გათვალისწინებულია აიგოს სპეციალური შტოლნები. გამოქვაბულებში გაიყვანენ ბილიკებს, გაკეთდება კიბეები, ხიდები და გადასასვლელები. შემდეგ ანაკოპიის გამოქვაბულთან აშენდება ოტელი და რესტორანი, პავილიონები და ავტოპანსიონატები.

ისტორიის გამოცანები

სვანები ერთ-ერთი ქართული ტომია, რომლის შესახებაც ცნობები ჯერ კიდევ ანტიკურ წყაროებში მოიპოვება. სვანები ცხოვრობდნენ დიდი კავკასიონის ხამხრეთი ფერდობის მაღალმთიან ხეობებში. სტრაბონის (ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი საუკუნის გეოგრაფი) მონაცემებით სვანები ორასიათასიანი მეომარი და ცალიერი ტომია, რომელსაც „ბაზილევსის“ მეთაურობით განაგებს სამასი კაცისაგან შემდგარი საბჭო.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით თანამედროვე ისტორიკოსები სტრაბონის პერიოდის სვანებს გვიხატავენ გვაროვნული წუობილების სამხედრო დემოკრატიის საფეხურზე, ხოლო „ბაზილევსი“ ტომის ბელადად მიაჩნიათ. ახალი მასალები, რომლებიც აღმოაჩინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის გერმანე გოგეჭიშვილის ხელმძღვანელობით, რამდენადმე ცვლიან ამ წარმოდგენას.

ექსპედიციის ზოგიერთი არქეოლოგიური ნაპოვნი სოფელ ლენჯერის მიდამოებში იმას მოწმობს, რომ ენგურის ხეობაში ახალი ქვის ხანის ადამიანები ცხოვრობდნენ. ეს იყო დაახლოებით 30-40 საუკუნით ადრე იმ პერიოდამდე, რომელიც სტრაბონმა აღწერა. განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი სვანეთში ლითონის ეპოქა, რომელიც გრძელდებოდა მეოთხე ათასწლეულიდან ჩვენს ხანამდე.

სოფელ კალაში გათხრების შედეგად აღმოჩენილია სადნობი წარმოების ნარჩენები: ქვის როდინები, ლითონის მძიმე ზოდები და სხვ. ყოველივე ეს დამაჯერებლად მოწმობს, რომ ბრინჯაოს ხანაში სვანების განვითარებული მეტალურგია ჰქონდათ.

მთის ძირას, სადაც აღმოაჩინეს სახელოსნოს ნარჩენები, სოფელ ლარილარში ქართველმა არქეოლოგებმა (ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-I საუკუნის სამარხში) აღმოაჩინეს მთიდან ჩამორეცხილი საბერველის თიხის საქშენი. ეს აღმოჩენა ნაშუალებას მისცემს მეცნიერებს დიდმნიშვნელოვანი დასკვნები გამოიტანონ. ეს საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ სვანეთში და საერთოდ კავკასიონში უკვე განვითარებული რკინის წარმოება ჰქონიათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველი ათასწლეულის შუა პერიოდში.

უცხოური (მაკედონური, პანტიკაპეისა და ბიზანტიური) ოქროს მონეტები იმას მოწმობს, რომ იმ პერიოდის სვანეთში განვითარებული ყოფილა სავაჭრო ურთიერთობა. გ. გობეჭიშვილისა და ახალგაზრდა არქეოლოგის მ. ჩართოლანის აზრით, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ასეთი სავაჭრო ურთიერთობის დროს სვანებს კიდევ ჰქონდათ მტკიცე გვაროვნული წუობილება. როგორც ჩანს, სტრაბონის „ბაზილევსს“ უკვე ჰქონდა მეფის ზოგიერთი უფლება.

მიწისქვეშა სამგზარეულო

მეცნიერთა ფესვების ფიზიოლოგიაში ახალი დიდმნიშვნელოვანი კანონზომიერებანი აღმოაჩინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელმა ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა **თეიმურაზ ჭყუასელმა** რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის – **ლევან ჯაფარიძის** ხელმძღვანელობით. მეცნიერმა დაადგინა, რომ ფესვები ნიადაგიდან არა მარტო შთანთქამენ, არამედ გამოყოფენ სხვადასხვა ნივთიერებას: ფოტოჰორმონების სტიმულატორებს, ფერმენტებს, ვიტამინებსა და მინერალურ ნაერთებს. სანამ მეცნარის მიწისზედა ნაწილს გამოკვებავდეს, ფესვი თვითონვე იმზადებს საკვებს. იგი გარკვეული ფერმენტებით მოქმედებს გარემოზე და საკვებად უვარგის ნივთიერებებს შესათვისებელ ნივთიერებებად გარდაქმნის. ნიადაგის პროდუქტების მხოლოდ ამ დამუშავების შემდეგ იწყება „საკვების“ — აზოტის, ფოსფორის, გოგირდმჟავასა და რკინის შთანთქმა.


ფესვებში აღმოჩენილია ყველა პიგმენტი, ურომლისოდაც არ წარმოებს ფოტოსინთეზი მწვანე ფოთლებში.

მეცნიერმა დაადგინა ამ პიგმენტების როლი და ისიც, თუ რატომ აღმოჩნდნენ ისინი ფესვებში—სიბნელეში. გამოირკვა, რომ ფესვის ქლოროპლასტები (პიგმენტების მატარებლები) დიდი რაოდენობით გამოიმუშავებენ მრავალგვარ ფერმენტს. უკანასკნელნი გამოიყოფიან ნიადაგში და „ოტევენ“ საკვებად უვარგის ნივთიერებებს. ფოთლის მწვანე პიგმენტების საწინააღმდეგოდ, რომლებიც სინათლეზე წარმოიშობიან, ფესვის პიგმენტები უფერულია და სიბნელეში იქმნება. ფოთოლში ქლოროპლასტები ითვისებენ ნახშირორჟანგს, ხოლო ფესვში მონაწილეობენ ფესვის კვებაში.

ფოთოლმცენენ მცენარეთა ფესვების მუშაობა გულის მუშაობას ჰგავს — იგი გარკვეულ რეჟიმს ემორჩილება. ეს დაამტკიცა თ. ჭყუასელმა. ყველა ფიზიოლოგიური პროცესი: სუნთქვა, წყლის, მინერალური მარილების შეწოვა და მათი გამოყოფა წარმოებს არა მუდმივად, არამედ წყვეტილად. ეს პულსაცია დამოკიდებული არ არის გარემო პირობებზე. მაგალითად, ვაზის ცნობილი „ტირილი“ ყოველთვის ერთნაირი როდია. ღამის ვაზის ნაჭდევიდან წვენი მეტი რაოდენობით გამოიყოფა, ვიდრე დღისით.

მრავალწლიან მცენარეებს ეს რიტმი სხვადასხვაგვარი აქვთ: წუთიერი, საათიანი, დღეღამური, სეზონური. ეს პულსაცია აისახება ფესვების სხვადასხვა ნივთიერების შთანთქმაზე. ზაფხულში მათ ვაზიდან ინტენსიურად გამოაქვთ გოგირდმჟავა, ხოლო შემოდგომაზე ვაძლიერებით გამოყოფენ ნიადაგში ქალციუმს.

ფესვების გამოყოფის უნარისა და მისი რიტმის დეტალური შესწავლა დაგვეხმარება რაციონალურად გამოვიყენოთ მცენარეთა დამატებითი გამოკვება.



მწყემსი ვარ ველად გაზრდილი,
მცნობარე დიდი ხნისაო,
ზამთარს ყიზლარის ველზე ვარ,
ფარებ იქა მყავს ცხვრისაო.

თან მახლავს ძაღლი ბროლია
თავგზარდამცემი მგლისაო.
სალამურს ავაწკრიალებ,
მთელი ბანს მოვმაჯისაო.

სპორტული მიმოხილვა

დამთავრდა 1965 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში, დამთავრდა ისე, რომ ზოგიერთი გამოკლისის გარდა, სიამოვნება რ მოუტანია გულშემატკივრებისათვის. ჩვენ შარშანდელი ჩემპიონი თბილისის „დინამო“ ვყავს მხედველობაში, რომელიც ზოგჯერ უფერულ და უინიციატივო თამაშის გვერდით ჭეშარიტ ფეხბურთს აჩვენებდა ოლმე. ეს იმდენად იშვიათი ყო, რომ საბოლოო შედეგი — ექვსე ადგილი სრულიად დაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს.

გუნდმა დიდი ცვლილება გაიცადა, შემადგენლობა გაფართოისდა, მოვიდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები და, იმედია, თბილისელები დაიბრუნებენ დაკარგულ პოზიციას, მაშ ასე, ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს მოსკოვის „ტორპედოელებმა“. ჩემპიონს ერთი ქულით ჩამორჩენ უკრაინელი ფეხბურთელები, რომლებიც ძალიან ახლოს ყვნენ სანუკვარ მიზანთან. მეამცზე ცსკა გამოვიდა.

ჩემპიონატის დამთავრებისანავე საბჭოთა ნაკრები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ა. კავაზაშვილი, მ. ხურცილავა, ს. კუტივაძე, ს. მეტრეველი და მ. მესხი ბრაზილიას გაემგზავრა და მსოფლიოში უდიდეს სტადიონზე — „მარაკანაზე“ (ივი 200.000 მაყურებელს იტევს) შეხვდა მსოფლიოს ჩემპიონს — ბრაზილიას.

ეს მატჩი 21 ნოემბერს გაიმართა და უდიდესი ინტერესი გამოიწვია (ამ გუნდების შეხვედრა მოსკოვში ბრაზილიელებმა მოიგეს — 3:0). პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა. მეორე ნახევარში მასპინძლები დაწინაურდნენ. ბურთები ზედიზედ ვალტანეს გეისონმა და პელემ. მეთოთხმეტე წუთზე ბანიშევსკიმ გაქვითა ანგარიში 2:1. ორთაბრძოლა უფრო გამწვავდა, ერიშები ერთმანეთს ცვლიდა. თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე მ. მესხმა თავისი ვარიანტით მეტრეველისადმი ზუსტი გატაცებით დაამთავრა, ამ უკანასკნელმა თუმცა არა ძლიერად, მაგრამ მეტად ზუსტად მეორე ბურთი გაგზავნა მასპინძელთა კარში — 2:2.

ჩვენი ფეხბურთელები კიდევ რამდენიმე მატჩს გამართავენ ლათინურ ამერიკაში.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით სა-

შუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოციკლი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოციკლი

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე—50.59 მეტრი ან 5930 კილოციკლი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.